ISSN 0132-5

572/
1986/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ციცინო"

1986 სექტემბერი № 9

თქვენი რიგია ახლა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაირეკა სკოლის ზარი

ჭუტა გერულავა

579
1986
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასკარეზი მზად არი!

რა ძნელია ლოდინი!

თენგიზ ჩალაური

მხატვარი ლალი ლომთაძე

ზურიკელა დღეს ყველაზე ბედნიერი ბიჭია ამ ქვეყნად. რატომ? ხვალ პირველად მიდის სკოლაში. რომ იცოდეთ, როგორ მოუთმენლად მოელის სასწავლო წლის დაწყებას, პირველ ზარს, ახალი მეგობრების გაცნობას.

მთელი ზაფხული, დიდსა თუ პატარას, ამ სასიხარულო ამბავზე ესაუბრებოდა — „მთელს ქალაქში საუკეთესო სკოლაში უნდა ვისწავლო, ნახავთ, თუ ყველას არ ვაჯობებ სიბეჯითეშიო," — ბაქიაობდა.

სხვებს კი არა, მტკაველის სიგრძე ბათულასაც ამას უმტკიცებდა, დასვამდა ლეკვს სამფეხა სკამზე და — „ამას ვიზამ, იმას ვიზამო", — იქადნებოდა, ბათულაც ხან ერთ ყურს დაცქვეტდა, ხან მეორეს და გაოცებული შესცქეროდა, თითქოს ეუბნებოდა „მართალია, მჯერა, თუმცა ეჭვიც მეპარებაო".

დღეს კი ბოლო დღე იწურება, ერთხელ დაძინებაც და მერე... გამთენიისას ბებია და ბაბუ ლოგინშივე ჩაჰკოცნიან, სადღესასწაულოდ გამოაწყობენ, ხელს ჩასჭიდებენ და ჰერი... სკოლისაკენ.

ყველაფერი მზად აქვს ზურიკელას სახვალიოდ, ტანზე კოხტად მორგებული ფორმის შარვალ-ხალათი, ღვედებიანი ჩანთა, ტყავის საამო სუნი რომ ასდის, ტკიცინა რვეულები, ფერად-ფერადი ფანქრები, და, რაც უმთავრესია, ახალთახალი „დედაენა", ბაბუამ რომ ამ დილით მშობლების თანდასწრებით დიდი ამბით გადასცა.

აუჰ, რა ძნელია ლოდინი, როგორ გაათენებს ამ ღამეს! ბებიამ უკვე დაიძინა, იმას რა ენაღვლება, სკოლაში გაატარა მთელი ცხოვრება, ახლაა პენსიაზე, თორემ ადრე მასწავლებელი იყო.

ბაბუ ტელევიზორს უყურებს, თვითონ ამბობს ასე, თორემ რაც ზურიკელას თაგი ახსოვს, სავარძელში ჩაჯდომისთანავე თავს ჩაქინდრავს და თვლემს, მხოლოდ „ტუ... ტუ... ტუ..." რომ ატყდება, მაშინ იღვიძებს.

„ნეტავი როგორ შემხვდება აღმზრდელი, ყვავილებს რომ მივართმევ", — ფიქრობს საწოლში წამომჯდარი ბიჭი და უცებ შიში ეპარება, — სიტყვა რომ შემეშალოს?!"

ზურიკელა სასწრაფოდ წამოხტა, ქოთანში ჩალაგებული ტიტები სათუთად ამოიღო და სარკის წინ დადგა.

184027

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

„პატივცემულო მასწავლებელო...“ — დაიწყო და შეჩერდა. არა, ასე არ ივარგებს, პიჟამოში გამოწყობილი მოწაფე ვის გაუგია? ტანსაცმლის კარადა ფრთხილად გამოაღო და ხუთ წუთში ავ თვალს რომ არ დაენახვება, ისეთია, ჩანთაც კი მოიკიდა ზურგზე, თმაც საგულდაგულოდ დაივარცხნა.

„პატივცემულო მასწავლებელო, გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!“ ეუბნება საკუთარ ორეულს და ყვავილებს უწვდის.

არც ასე ივარგებს, ვიღაცა ხომ უნდა უყურებდეს, ბებიას და ბაბუას ვერ გააღვიძებს, უთუოდ დატუქსავენ, დედა და მამაც სტუმრად არიან წასულები, თუმცა...

ზურიკელა აივანზე უხმაუროდ გაიძურწა, კუთხეში მიდგმულ ფიცრულ სადგომში ხელი შეჰყო და ბათულა ძალით გამოათრია. მართალია, უძალიანდება, „რა დროს ეგეთებია, მეძინებაო“, გაჯგიმულ წინა ფეხებს ფილაქანზე მოაფხოჭიალებს, მაგრამ რა იცის ჩურჩუტმა, რა სანახაობა ელის. ზურიკელამ აივნის კარი მიხურა, კვლავ სარკესთან გაიჭიმა და ახლა ლეკვის თანდასწრებით ამბობს ხვალინდელ სათქმელს.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ გაიმეორა მისალოცი სიტყვები და ისე დაიქანცა, ლამისაა ზეზეულად ჩამოეძინოს.

ჩანთა კუთხეში მიაგდო, სასწრაფოდ გაიძრო ტანსაცმელი, სკამზე მიყარა და ყვავილებიც ზედ გადააწყო.

საბანიც არ ჰქონდა კარგად წახურული, რომ ხვალინდელი საამო დღის მოლოდინში მომღიმარს, ტკბილად ჩაეძინა.

„ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი!“ — მოულოდნელად ჩაესმა ბებიას შეცხადება, გაოგნებული წამოჯდა საწოლში, აქეთ-იქით იცქირება და თვალებს არ უჯერებს.

დაფლეთილ-დაფხრეწილი ახალთახალი ფორმის შარვალ-ხალათი მაგიდის ქვეშ ყრია, ფურცელ-ფურცელ დაშლილი და დამტვრეული ტიტები კი იატაკზეა მიმოფანტული, მაგრამ ყველაზე საშინელი ისაა, რომ აივნის კართან ბაბუას ნაჩუქარი დაფურცლული „დედაენა“ ბათულას თათებში მოუქცევია და ახლა უკვე წიგნის ყდას ღრღნის.

„შე სასიკვდილე და არგასახარელო!“ — იწყევლება ბებია და აწკავწკავებულ ლეკვს მთელ ოთახში ცოცხით დასდევს, მაგრამ იმას მოიხელთებს და დაიჭერს!?

„კბილები ექავება ამ ყაჩაღს, იმიტომ ქნა ეს უბედურება,“ — გაცეცხლებული როხროხებს ბაბუა.

დედა და მამა კართან დგანან და უკმაყოფილოდ იქნევენ თავებს. „რამდენჯერ გითხარი და დაგარიგე, საკუთარ ნივთებს მოვლა და გაფრთხილება სჭირდება-მეთქი“, — საყვედურით ამბობს დედა. „განსაკუთრებით კი წიგნებს, — თითს უქნევს მამა, — მით უმეტეს მშობლიურ „დედაენას“, საუკეთესო აღმზრდელს და უახლოეს მეგობარს!“

ზურიკელას ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლები და გულამომჯდარი ზლუქუნებს.

ამ განამაწიაშია, რომ უეცრად ლოყაზე ფრთხილსა და თბილ შეხებას გრძნობს, მთელი სხეულით კრთება და თვალებს ძლივ-ძლივობით ახელს.

„რა გაკვნესებს, ჩემი სიცოცხლე შემოგევლოს?“ — ეკითხება საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი ბებია და შუბლს ხელისგულით უსინჯავს.

„აუჰ, სიზმარი არ ყოფილა?!“ — ჰკვირობს გახარებული ზურიკელა და ზარივით წკრიალა ხმით კისკისებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე
150

გივი გეგეჭკორი

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება

გიმნაზია. ძმის სიკვდილი. ნადირობა.

ეს მოთავსებულია სურათი, სადაც მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების თბილისია. შუაში იმდროინდელი ღუნიბის მოედანია. ახლა ამ ადგილას მთავრობის სასახლეა. ამ მოედანს ღუნიბის მოედანი უწოდეს ლეკების ბელად შამილზე რუსების გამარჯვების აღსანიშნავად. ეს მოხდა აულ ღუნიბთან. შამილი საბოლოოდ დამარცხდა და რუსებს ტყვედ ჩაუვარდა. ღუნიბის მოედნის მარცხნივ მოჩანს მთავარმართებლის ძველი სასახლე. შემდეგ სწორედ მის ადგილას მეფის ნაცვლის სასახლე ააშენეს. ახლა ეს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეა. ხელმარჯვნივ გიმნაზიის შენობაა — აქ 1825 წლის იანვარში ილია ჭავჭავაძე დასვეს მეოთხე კლასში.

სკოლას თავისი ეზო ჰქონდა. გაკვეთილის დამთავრებისთანავე აქ ალბათ მოწაფეთა ჟივილ-ხივილი ისმოდა. სკოლამ ჩვენამდე იმავე სახით მოაღწია. ღუნიბის მოედნის უკან არსენალი ყოფილა, წინ კი — რუსეთისაკენ მიმავალი გზა რომ ეწოდებოდა, იმ გზაზე, აქლემების ქარავნები მიმოდიოდა და შორეული ინდოეთიდან ან სპარსეთიდან ჭრელსამოსიანი სოვდაგრები ჩამოჰყავდა. ამ აქლემების ზანზალაკების ჟღარუნი ალბათ ხშირად გაუგონია გიმნაზიელ ილიას და დაუნახავს, როგორ ზანტად მიირწეოდნენ აქლემები ღუნიბის მოედანზე...

ვინც დღევანდელი პირველი სკოლის შენობაში ყოფილა, იმას შეუძლია წარმოიდგინოს ილია გიმნაზიაში. წარმოიდგინოს, თუ როგორ ადიოდა იგი კიბეზე, სადაც ადრე ამავე გიმნაზიის მოსწავლეს ნიკოლოზ ბარათაშვილს ფეხი მოუტეხია, ანდა როგორ გარბოდა გაკვეთილზე დაგვიანებული ილია სკოლის გრძელ დერეფანში...

იმ ადგილს, სადაც ახლა კომუნარების ბაღის ნაწილია, თურმე მაშინ თბილისის გარეთუბანი ეწოდებოდა და იქ ყაბახი ყოფილა. ამ ყაბახს ნიკოლოზ ბარათაშვილიც ახსენებს. აქ სასეირნო ადგილი ყოფილა და ილია და მისი მეგობრებიც ალბათ ხშირად დასეირნობდნენ. ყაბახისა და ჭიდაობის გარდა გიმნაზიელებს აქ სხვა სანახაობაც ეგულებოდათ: ამ ადგილას ერთმანეთს ხშირად აჯიბრებდნენ ყოჩებს, მამლებს და აქლემებსაც კი. გიმნაზიელები უთუოდ დადიოდნენ ქართულ თეატრშიც. თეატრი ახლანდელი ლენინის მოედნის ადგილზე მდგარი ქარვასლის მეორე და მესამე სართულზე ყოფილა მოთავსებული. „სამი მუშკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერის“ ავტორი, ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელიც ამ თეატრში ყოფილა, ამბობს: ამისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო...

კოხტა აფხაზი, რომელიც ილიასთან ერთად სწავლობდა გიმნაზიაში, იგონებს: ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდად ითვლებოდაო. გამოცდები რომ მოახლოვდებოდა, სწავლას ბეჯითად შეუდგებოდა და ორ-სამ საათში იმდენს შეისწავლიდა, სხვას ამისთვის ორი დღეც არ ეყოფოდაო. გიმნაზიაში ილია თურმე ბევრს კითხულობდა. ხუთებზე სწავლობდა ქართულ და რუსულ ენებს; გიმნაზიაში შენახულ ცნობებში ოთხიანებზეა შეფასებული მისი ცოდნა ფრანგულ ენაში, ალგებრასა და ისტორიაში...

ილიას გიმნაზიაში სწავლის დროს, 1854 წლის 3 ივლისს ლეკებს მოუკლავთ მისი უფროსი ძმა, კონსტანტინე. დაღესტნიდან ჩამოსულები თავს დასხმიან წინანდალში ჩვენი ცნობილი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლს და ტყვედ წაუყვანიათ მისი შვილის — დავითის ოჯახი. ლეკებს მდევრები დასდევნებიან, მდევრებში კონსტანტინეც ყოფილა. ალაზანზე გადასვლის დროს მდევრები მოულოდნელად თავს დასხმიან ლეკებს, და კონსტანტინე ამ შეტაკებაში დაღუპულა.

ჭავჭავაძეები ყვარლიდან თბილისში გადმოსულან, ილიაც ჰაკეს პანსიონიდან თავისიანებთან გადმოსახლებულა.

ილიას და, ელისაბედ საგინაშვილი მოგვითხრობს: ერთ წელიწადს, ზამთარში თბილისში ვცხოვრობდით, ილია გიმნაზიაში სწავლობდა. ერთ დღეს მის ოთახში შევედი და ვნახე, რომ საწოლი ჩასტეხოდა, მაგრამ ისევ ისე იწვა. შევეკითხე, რატომ არ შემატყობინე-მეთქი. ილიამ მიპასუხა: რად შემეწუხებინე, ჩემო დაო, ასეც ტკბილად მეძინაო.

არდადეგებს ილია მუდამ ყვარელში ატარებდა.

ის ნადირობაზეც დაჰყავდათ. თუ წაგიკითხავთ, იქნებ გახსოვდეთ, რას

წერს ილია „გლახის ნაამბობის“ შესავალში: „ნადირობა ცოდვაა... ბევრჯერ მინახავს ირემი, დამფრთხალი ძაღლისაგან... და გაუტაცნია ჩემი გონება მის თავისუფალს სილამაზესა. გადაუწყვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული, ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყეფს ნაგეში ძაღლი, ძაღლს მიურბის საწყალი და ზედ ეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი... იშვირა ფეხი ირემმა და ისარივით გადმოეშო ბუჩქნარზედ. გგონია, აგიქცევს გზას და მიეცემა საყვარელის ტყის განსაცდელით სავსე თავისუფლებასა, მაგრამ არა, — დაუშტვენენ. მაშინ უნდა ჰნახოთ, რა მწუხარებით შედგება, რა-რიგ საოცარი მშვენიერებით მოიღერებს კისერსა, რა გაფეთებით და იმედ-გადაწყვეტილად დაიწყებს ნაღვლიანის თვალების ტრიალს, ყურების ცქვეტას, გაგანიერებულის ნესტოებით სუნის აღებასა!.. ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია და იმ სინაზესთან ისეთი მიმზიდველი ამაყიცა, რომა, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული მადლი აქვსო, სულ ეხლა შემოიკრიბაო, რომ სიკეთით და თავის სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო! მაგრამ კაცი მაგისთანა გულჩვილი არ არის, რომ მაგით მოტყუვდეს... თოფმა იგრიალა და ირემი, აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი, გაირთხო იმ ბალახზედ, რომლის კალთაშიც პირველად ააბილა თვალი, რომ მოესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დახუჭოს თვალი, რომ სამუდამოდ გამოესალმოს...“

ილია გულჩვილი ყოფილა. კოხტა აფხაზი იგონებს: მახსოვს, ერთხელ სანადიროდ ალაზანზე ვავედით. ჩვენს გვერდით, ცოტა მოშორებით, ილია იდგა. ხშირი და დიდი ტყე იყო. ძაღლებმა უკვე დაჰყეფეს, როგორც ეტყობოდა, კვალს მიაგნეს. ნადირის გამოჩენას გაფაციცებით ველოდებით. არ გასულა ბევრი ხანი და გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებში ისე იყო მოფარებული, რომ ვერ ვესროდით, ილიასათვის კი ირემი მეტად მარჯვედ იდგა. ველი გულის ფანცქალით, რომ აი, ან ახლა გავარდება ილიას თოფი, ან ახლა-მეთქი. მაგრამ კარგა ხანი გავიდა. იდგა, იდგა ირემი, მერე ერთი დაიფრუტუნა, გადახტა და გაქრა ტყეში. გავქანდით და დავუწყეთ ილიას ჯავრობა, „კაცო, რა ჰქენი, რატომ არ ესროლე?“ „უჰ, ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდიო!“ გვითხრა ილიამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ გართაია

სექტემბრის ზარი

ზარის საამო ხმა ისმის,
ეს ხომ სექტემბრის ზარია,
ლამაზი ბოგო-ბიჭები
სკოლისკენ მიიჩქარიან.
უცოდინარად დარჩენა
მითხარით, აბა ვინ უნდა?!
და ზოგიერთმა ცხოველმაც
სკოლაში წასვლა ისურვა.

გამოეწყო ნაცარა,
მოიკიდა ჩანთა,
მიდიოდა სკოლაში,
ეურებიღა ჩანდა.
გაკვეთილი დაიწყო,
გატრუნულა ეველა.
მასწავლებელს უსმენენ,
მასწავლებლის სჯერათ.
ბაჭუკელა სკოლაში
არის, თითქოს არც არის,
ახრამუნებს სტაფილოს,
ატუდა სიცილ-ხარხარი.
მაშინ მასწავლებელმა
აღარ დაახანა,
ეურში ხელი ჩაავლო,
გარეთ გააბრძანა.

ჩაულაგეს ჩანთაში
რვეულები, წიგნები.
ზებრა ეკირის,—იცოდეთ,
— ხუთოსანი ვიქნები.
მოსწავლეებს აცვიათ
სუფთად, კოხტად, სადად,
ვინც კი ნახა ზებრა,
ეველა დარჩა სახტად...
რასაც ახლა გიამბობთ,
დამიჯერეთ, სწორი არის,
ზებრამ იმ დღეს ჩაიცვა
ეველაფერი ზოლიანი.
მე რომ ვნახე ზებრუნა,
მის მაგივრად შემრცხვა.
უკან გამოაბრუნეს,
ფორმა რომ არ ეცვა.

ჩაულაგეს ჩანთაში
რვეულები, წიგნები.
ბეჭემოტი იმახის:
— ხუთოსანი ვიქნები.
მიდის ბეჭე სკოლაში,
ეველა ბეჭეს უმზერს.
მიდის ხვნეშით, ქშენით,
ძლივს მიათრევს მუცელს.
ჯერ უსმინა გაკვეთილს,
მერე მოიწყინა.
ცოტაც კიდევ, და მერე
ამოუშვა ხვრინვა.
გააღვიძეს ბეჭუნა,
ძლივსღა ახელს თვალებს,
ზარმაცი და უქნარა
გარეთ გააბრძანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაულაგეს ჩანთაში
რვეულები, წიგნები.
კუმ ამოიბლუკუნა:
— ხუთოსანი ვიქნები.
მერე გადაჭიდეს
ვეებერთელა ჩანთა,
მიდიოდა კუკუნა,
მხოლოდ ჩანთა ჩანდა.
მაშინ, როცა კუმ კლასის
შემოაღო კარი,
გაკვეთილის გამოსვლის
დაირეკა ზარი.
გაკვეთილი დამთავრდა
განა ერთი,—ოთხი.
ახე უთხრეს კუკუნას:
— რაღას მოდიოდი?

ჩაულაგეს ჩანთაში
რვეულები, წიგნები.
მაიმუნი იძახის:
— ხუთოსანი ვიქნები.
გაკვეთილი დაიწყო,
მაგრამ, უნდა გაუწყოთ,
მაიმუნმა სიწყნარეს
დიდხანს ვეღარ გაუძლო.
მთლად დაკარგა ჭკუა,
რა სურს, ვერ გამიგია.
ხან მერხებზე დახტის,
ხან დაფაზე ჭკიდია.
მაიმუნი რომ არის,
ბუნებას რომ არ იცვლის,
ამის გამო დღესაც
წერა-კითხვა არ იცის.

ჩაულაგეს ჩანთაში
რვეულები, წიგნები.
ცუგრიკელა იძახის:
— ხუთოსანი ვიქნები.
სასაცილოდ, მგონია,
მარტო ესეც იკმარებს,—
ბიდის ცუგო სკოლაში
ახლოს არვის იკარებს.
უეურებენ ბავშვები,
ვერ გაიგეს, რა ხდება.
ეველაფერზე ბრაზდება,
ეველაფერზე აგდება.
ვიცი, ამის მოსმენა
ცუგრიასთვის ძნელია,—
კუდით ქვა ასროლინეს
ბრაზიანს და ღრენიას.

ზარის ხმა ისმის საამო,
ეს ხომ სექტემბრის ზარია,
ლამაზი გოგო-ბიჭები
სკოლისკენ მიიჩქარიან.
მაგრამ არ ჩანან: ცუგრია,
კუ, ბეჭემოტი, ბაჭია,
არც ზებრა ზოლიანი და
არც მაიმუნი ჭრანჭია.
ზოგს მოთმინება არ ჭეოფნის,
ზოგსაც სიდინჯე აკლია,
სკოლაში მხოლოდ ის იჯლის,
ვინც ბეჯითი და კარგია.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ჯოჯო
და
ბვანცა
ავტორი — მარა ლაფაური
1
დღეს ჩამდენი ღავალება მოგვცეს.
სათამაშოდაც ვეღარ მოვისცლით.
2
ლაბორატორია
ელექტრონული ჩოხი
3
ონული ჩოხი
+
ელექტრო
ეს!!!
ავაწყოთ ჩოხი და ბავშვებისგან მოვამზადებინოთ.
4
5
ეს ჩა ჯანდაბად მოვიფიქრეთ, ჩოხი ისწავლის, ჩვენ აი ვითამაშებთ.
6
7
8
ვაშაა! მუშაობს!

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეს ინფორმაციაა!
9
სახელმძღვანელოები ვოვიტანოთ.
10
11
ინფორმაციაა
12
ჩქარა, ბიბლიოთეკაში გავიქცეთ!
13
14
ბიბლ
15
16
ეს ასე!
ახლა საშინაო ნასწავლები ვარ!
17
ეეე

ჯანსუღ ნიჟარაძე

ნიკას და ლევანის ლექსი

აი, დადგა სექტემბერი,
აწკრიალდა სკოლის ზარი,
შუკა-შუკა,
ჭერი-ჭერი,
მივდივართ და მივიჩქარით!
შენ რად ტირი, ბიჭო ლევან,
ხალხი გხედავს,
არ გრცხვენია?
ვინც სკოლისკენ მიდის, ყველა
განა პირველკლასელია?
მალე შენი ჯერიც მოვა,
დაიცადე გაისამდე!
შენც მოგიხმობს სკოლის ზარი,
ჯერ ჩემხელა გაიზარდე.



გაკვეთილზე

მომიყევი გაკვეთილი,—
კოღომ უთხრა მახრას,—
აბა სწრაფად, რა ბიჭი ხარ
გამოჩნდება ახლა.
დამავიწყდა,—მახრა ლამის
შავ მიწაში ჩაძვრეს.
მშობლებს როგორ დაენახოს,
ან რა უთხრა და-ძმებს.
მიიხედ-მოიხედ
მეგობარო, ირგვლივ,
მანდ ჩაძრომა რას გიშველის,
სჯობს, გაშალო წიგნი.

მხატვარი ლადო ტატიშვილი

კერკეტი კაკლის თავგადასავალი

უშანგ რიჟინაშვილი

მხატვარი ედუარდ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის განაპირას ერთი ბებერი კაკლის ხე იდგა. კაკლის ქვეშ გოგო-ბიჭები შეგროვილიყვნენ. ხე ტოტს უწვდიდა ყოველ მათგანს; ერთ ბიჭს პირდაპირ ქუდში უყრიდა ნაყოფს, მეორეს — მუჭში, გოგონას — კაბის კალთაში; ყველას ასაჩუქრებდა, ყველას ახარებდა... უცებ საიდანღაც წამხვეტი მიტუა გამოჩნდა ტომრით ზურგზე. მიტუა ისეთი ვინმე იყო, გზაზე არაფერს დატოვებდა; მით უმეტეს, თუ ურიგოდ იდო. ყველაფერს ტომარაში იყრიდა. ერთხელ დაგორგალებულ ზღარბსაც კი წაატანა ხელი, კინაღამ ტომარაში გადაუძახა, მაგრამ თითებიღა დაიჩხვლიტა. ხედავს მიტუა — ხე ბალღებს კაკალს ურიგებს; მიირბინა აქოშინებულმა, ზოგს ქეჩოში წაუთაქა, ზოგს პანჩური უჭირა, აქეთ-იქით გააწიოკა, კაკლის ქვეშ კი თავისი ტომარა დადგა — ელოდება, როდის ჩაუყრის ხე ნაყოფს. იმან კი დახუნძლული ტოტები განზე გასწია. მიტუა ერთ ტოტს მისწვდა, ხემ ცხვირწინიდან ააცალა; ახტა მიტუა, უნდოდა მოსჭიდებოდა, ხემ კი ტოტი უფრო მაღლა ასწია. გაჯავრდა მიტუა, თავისი ვეება მუშტებით ხის ძირს დაუწყო ბაგუნი, მაგრამ ხე მსხვილი იყო, სამი კაცი ხელს ვერ შემოუწვდენდა, აბა რას დააკლებდა, ძვრაც ვერ უყო. მაშინ დაიხია მიტუამ უკან, გამოქანდა და ხარივით დაეტაკა თავით ხეს — შუბლზე კოპი დაეჯდა, მაგრამ სამაგიეროდ კაკალიც ბლომად ჩამოცვივდა ხიდან.

მიტუამ ტომარა მაგრად გატენა და მაღლა აიხედა. ხედავს — ერთი კაკალი ზედ კენწეროზე არ აბია! მერე რა კაკალი— საზამთროს ხელა იქნება. რა ქნას მიტუამ — ხეზე უნდა ავიდეს, ისე ვერ მოწყვეტს იმ კაკალს; შემოხვია ხელები ხეს, აიწია და ფეხი ტოტზე შედგა; მაგრამ ამ დროს ხე გაუხედნავი კვიცივით შეტოკდა და მიტუა მიწაზე მოისროლა. წამოდგა მიტუა, ნატკენი შუბლი ხელით მოისრისა და კაკლის ხეს ავად დაუწყო ყურება. მერე ცოტა განზე გადგა, თავისი კომბალი აიღო, მთელი ძალით მოიქნია და კაკალს ესროლა. კომბალმა ურისავით შხუილით გააპო ჰაერი და საშინელი ძალით დაეჯახა კაკალს, მაგრამ რა? კაკალი ისევ იქ დარჩა, კომბალი კი ნაფოტებად იქცა, და მაღლამზირალ მიტუას ფართოდ დაღებულ ხახაში ჩაუცვივდა. მიტუამ ფართხაფურთხით ამოყარა პირიდან ნაფოტები და ჩაფიქრდა. მერე გზაზე ერთი დუზანი ქვა მოძებნა, ძლივძლივობით ასწია, დაიდო ვეება ხელის გულზე, ნიკაპით დაიმაგრა, მთელი სხეულით დაიძაბა და ქვა მაღლა გასტყორცნა. ქვამ ბირთვივით გაიშხუილა ჰაერში და კაკალს ქვემოდან დაეჯახა. მიტუამ თვალები დახუჭა და მაშინღა გაახილა, როცა თავზე ქვის ნამტვრევები დააცვივდა; კიდევ კარგი, თავზე ქუდი ეხურა და მატყლივით ხშირი თმა ჰქონდა, თორემ გაუტყდებოდა. კაკალი კი, ვითომ აქ არაფერიაო, არხეინად ეკიდა მშობლიურ ტოტზე. მიტუამ ახლა ბრტყელი რიყის ქვა მოძებნა. თითები ღვედებივით შემოუჭირა და საოცარი სისწრაფით დაბზრიალდა ადგილზე. მასთან ერთად თითქოს დედამიწაც დატრიალდა, ხეებიც, ბუჩქებიც, მზეც. ბოლოს მიტუამ კაჭარი ხელიდან გაუშვა და იმანაც ბადროსავით გაიქროლა ჰაერში. მიტუამ თავი ვერ შეიმაგრა და მიწას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაენარცხა. კაჭარი კი კაკალს დაეტაკა და ორ ნახევარმთვარისებურ ნატეხად გადასკდა. მერე იხ ნატეხები დაბლა დაეშვა და მიწაზე გაგორებულ მიტუას უზარმაზარ დუნდულებზე დაეხეთქა. გამწარებული მიტუა ბურთივით აიჭრა ჰაერში. დარბოდა, თან ხელებით დუნდულებს ისრესდა, თან ახალ საშუალებას ეძებდა კაკლის ჩამოსაგდებად. მისი ყურადღება ერთმა შუბივით წაწვეტებულმა კეტმა მიიპყრო. მიტუამ კეტი აიღო, ეშმაკურად ჩაიცინა და ისეთ რკინის ნაჭერს დაუწყო ძებნა, რომელიც შუბის პირად გამოადგებოდა. ბოლოს ერთი ფოლადის ფურცლის ნაგლეჯი იპოვა, ვეება ხელებით მოღუნა და მახვილის ფორმა მისცა, მერე კეტის წამახულ ბოლოს მიამაგრა და მართლაც შუბს დაამსგავსა. დაიჭირა ეს შუბი მიტუამ მაღლა აჭიმული ხელით, გამოიქცა, გააკეთა რამდენიმე ნახტომი, კინაღამ ცხვირით მიწაც ათხარა და შესტყორცნა შუბი კაკალს. შუბი ბზრიალით აიჭრა, და მუქარით წინწაშვერილი ფოლადის წვეტით კაკლისაკენ გასრიალდა. ხემ სხარტად აიცილა საშინელი დარტყმა და ჰაერში გაწუილებული შუბი წინწილას წასაღებად გამზადებულ ქორს შეერჭო გულში. შუბით განგმირული ქორი ქვასავით დაეშვა ძირს, გაფარჩხული ფრთებით ხის ვარჯს წამოედო, და მერე ზედ ზურგზე დაენარცხა მიტუას. ტკივილისაგან სამად მოკეცილი მიტუა თვალებს ავად აცეცებდა და მარტო იმასღა ფიქრობდა, კიდევ რაიმე ეპოვნა.

უცებ გახარებულმა ვიწრო შუბლზე იტკიცა ხელი. ღობეზე კაკლის საბერტყი ხალა ეყუდა. მიტუამ ორივე ხელით ჩაბღუჯა მისი ცალი ბოლო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამოიქცა და მეორე ბოლო კაკლის ძირთან წაურჭო. ჭოკი მოირკალა, თითქმის ორად მოიკეცა, მერე უცებ გასწორდა და მიტუა კაკლის კენწეროსკენ აისროლა. მიტუამ ხელი უშვა და უნდოდა კაკალს ჩასჭიდებოდა, მაგრამ ხემ დროულად გასწია ტოტი გვერდზე. მიტუამ ხელები ჰაერში გაასავსავა და ყირამალა დაეშვა ძირს. კაკლის ხის მახლობლად ვეება ნეხვის გროვა იყო, იმ გროვაში ჩავარდა თავით და კისრამდე ჩაეფლო. დიდხანს იქნია ფეხები, ცდილობდა, როგორმე თავი დაეღწია, ბოლოს მუცელზე გადაგორდა და წვალებით წამოდგა ფეხზე. თვალები, ყურები, პირი ნეხვით ჰქონდა ამოლესილი, ნეხვი ესვა სახეზე და თმაზეც. ამასობაში მიტუასგან დაწიოკებულმა ბავშვებმა ტომარა დააცარიელეს. კაკალი მარტო პატარა ნიკუშას არ შეხვდა. კაკლის ხეს შეებრალა ბიჭი, დაიხარა და გაუწოდა ტოტი იმ ნაყოფით, რომელიც ვერა და ვერ ჩამოაგდო მიტუამ. ნაყოფი თვითონვე ჩაუვარდა ხელვალი ბიჭუშას. იმანაც შემოხვია მკლავები უზარმაზარ კაკალს და გახარებულმა შინისაკენ მოკურცხლა. მიტუამ, როგორც იქნა, ჩამოიბერტყა ნეხვი, გასუფთავდა, თვალებიც მოიწმინდა და დაინახა, რომ ტომარა ცარიელი ეგდო. აიხედა მაღლა, აღარც ის ერთი კაკალი აბია ტოტზე. გადაირია მიტუა... ამ დროს თვალი მოჰკრა, რომ ნიკუშა შინისაკენ მიაცუხცუხებდა კაკალს. გაეკიდა მიტუა ბიჭს, დაეწია, წასცხო კისერში და კაკალიც წაჰგლიჯა. კაკალი ცარიელ ტომარაში ჩაუძახა, ტომარა ზურგზე მოიგდო და შინისაკენ გასწია.

მიტუას ცოლი ტელევიზორს უყურებდა. მიტუას მისთვის არც შეუხედავს, კაკალი მაგიდაზე დადო, ბათმანიანი მუშტი შემართა, დაუმიზნა და მთელი ძალით დასცხო. გაისმა ჭახანი. მაგიდა ჩატყდა და კაკალი ნახვრეტიდან იატაკზე ჩავარდა. ხელნატკენი მიტუა ოთახში დაბზრიალდა და ფეხით სკამს წამოედო, რომელზეც მისი ცოლი იჯდა. სკამი გატყდა და მიტუას ცოლმა იატაკზე მოადინა ზღართანი. მიტუა კი მაგიდის ქვეშ შეძვრა, რომ როგორმე კაკალს მისწვდომოდა. ჩატეხილი მაგიდის ქვეშ შეჭედილმა, როგორც იქნა, კაკალი ხელში მოიგდო, მაგრამ როცა უკან გამოძრომას ცდილობდა, თავი მაგიდის ნახვრეტში ამოჰყო. შიშისაგან აღრიალებული ფეხზე წამოვარდა და მხრებზე ჩამოკიდებული მაგიდაც ჰაერში აიტაცა. ბევრი წვალების შემდეგ მოიგლიჯა მაგიდა და იატაკზე დაახეთქა, თვითონ კი სამზარეულოში გავარდა და ფილთაქვა შემოარბენინა. მერე კაკალთან ჩაიმუხლა და მთელი ძალით დასცხო ფილთაქვა კაკალს. ასხლეტილი კაკალი ჭურჭლის კარადას ეცა და ჭურჭელი მილეწ-მოლეწა, ფილთაქვა კი ტელევიზორისაკენ გავარდა და რომელილაც არიის შემსრულებელს პირდაპირ გაღებულ პირში ეძგერა. პირდაღებული მიტუა ხან კაკალს უცქერდა, ხან ფილთაქვას. ბოლოს კიდევ ერთხელ გავარდა ოთახიდან და უზარმაზარი სამჭედლო ურო დაბრუნდა, კაკალი შუა ოთახში დადო, ურო კარგად დაუმიზნა, ღონივრად მოიქნია და დააცეცხლა. კაკალი ასხლტა, ბროლის ჭაღი დაამსხვრია, მერე ჭერი და კრამიტით დახურული სხვენი ახვრიტა და ეზოში მოადინა ბრაგვანი. სახურავის კრამიტები დასრიალდა, ნივნივები გაშიშვლდა. მიტუა კი იატაკზე იჯდა, ხელში მაგრად ჩაებღუჯა გატეხილი ურის ტარი, თავ-პირზე ჭერიდან ჩამოცვენილი გაჯი და ჭაღის ნამსხვრევები ეყარა, და ჭერში გაჩენილი ნახვრეტიდან უაზროდ ასცქეროდა ცის პატარა ნაჭერს... უცებ აკივლებული ცოლი ჩაეჭიდა მატყლივით სქელ თმებში. მი-

ტუამ ხარივით დაიზმუვლა, ცოლს გაუსხლტა, ხელებში ბლუჯა-ბლუჯად შეატოვა თმები და კარის ნაცვლად ურუსგან განგრეული ფანჯრიდან გავარდა. კარის წინ, ბალახზე მშვიდად იჯდა კაკალი. გამხეცებულმა მიტუამ კაკალთან მიირბინა და მთელი ძალით დასცხო წიხლი. კაკალმა დომინოს ქვებივით მიყარ-მოყარა ლობის ფიცრები და ეზოდან გავარდა. გამწარებულმა მიტუამ კი ორივე ხელი ნატკენ ფეხზე იტაცა, მეორე ფეხზე ხტომა დაიწყო, მერე თავი ვეღარ შეიმაგრა და მიწაზე გაიშოტა...

...კაკალი მდინარეში მოცურავდა, ხან ქვას დაეჯახებოდა, ხან წყალში ჩაიყურყუმელავებდა... მიტუას მდინარის პირას წვრილად ნაქსოვი ბადე გაეშალა და თევზაობდა. წვრილი თევზი — სულ რამდენიმე დღის ლიფსიტები ბადეში სხმარტალებდნენ, მიტუა კი ბადიდან პირდაპირ ქვაბში ყრიდა მათ... აი, უცებ მოსახვევიდან კაკალი გამოჩნდა. მოაქანებდა, მოაბზრიალებდა კაკალს ჩქერი, ნაპირიდან ნაპირზე ისროდა და აი მიტუას დაგებულ ბადეში შეახეთქა. ბადე გაიხა და თევზები განთავისუფლდნენ. ტალღამ კი ერთხელ კიდევ შეახეთქა კაკალი ბადეს, ერთი ნახვრეტიც გააკეთებინა, უფრო დიდი, ვიდრე პირველი, და კაკალიც ბადეში გახლართა. ექაჩება მიტუა ბადეს წყლიდან, ექაჩება, ძლივს ამოათრია. ამოათრია და რას ხედავს, ბადე სულ დახეულია, შუაში კი რაღაც უზარმაზარია გაბმული. თევზია? თუ კიბოა? რა არის? გაშალა მიტუამ ბადე და ის წყეული კაკალი არ შერჩა ხელში? როგორც იდგა მიტუა ოთხზე, ისევე გაცოცდა უკან-უკან. მიცოცავს და თან შიშისგან გადმოკარკლულ თვალებს კაკალს ვერ აცილებს. ამ დროს მდინარის პირას პატარა ნიკუშა გამოჩნდა. ხედავს, ის კაკალი გდია, მიტუამ რომ წაართვა. მიირბინა ნიკუშამ, კაკალი ხელში აიღო და გორაკს აუყვა. დაინახა მიტუამ, რომ კაკალი ნიკუშას დარჩა, და ისევ მოერია სიბრაზე. — ჩემია! — დაიღრიალა და ნიკუშას გაეკიდა. შეშინებულმა ნიკუშამ კაკალი მიწაზე დააგდო. კაკალი დამრეც ფერდობზე დაგორდა და ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით პირდაპირ მიტუასკენ გაექანა. დაინახა მიტუამ ავად დაგორებული კაკალი და აბა! — დაძუძგა გულგახეთქილმა. გარბის მიტუა და უცებ ქვას წამოჰკრა ფეხი! წაყირავდა და თავისივე ბადეში გაიხლართა. ფართხალებს, ფართხალებს, ბადიდან გამოხსნას ცდილობს, არადა კაკალიც უახლოვდება. მიტუამ ფართხალს თავი ანება და ისევე, ბადიანად, კურდღელივით სკუპსკუპით გაექცა კაკალს. იხტუნა, იხტუნა, სანამ ბადე ხრამის პირს არ გამოედო. მდინარის თავზე ბადით ჩამოკიდებული მიტუა ხან აქეთ გაქანდებოდა, ხან იქით, გეგონებოდათ გალიაშია. კაკალმა კი დაკარგა სიჩქარე და იქვე გაჩერდა. აყვირდა შეშინებული მიტუა და ბადემაც უმატა რწევას. ნიკუშამ რომ დაინახა, მიტუა ვეღარაფერს უზამდა, ისევ კაკლისკენ გაიქცა. მიირბინა, ჩაცუცქდა, კაკალს დაღარულ კანზე ხელი გადაუსვა და ისიც შუაზე გადაიხსნა. ამის დანახვაზე სულ გადაირია მიტუა. დაიწყო ხელ-ფეხის ქნევა და ყვირილი — ჩემია! ამ ღრიალისა და სხმარტალისაგან ბადე მოწყდა და მიტუა მდინარეში ჩავარდა. ისე ჩაეხეთქა, რომ მიდამო შხეფმა დაფარა. ძლივძლივობით ამოღოღდა მიტუა წყლიდან. ნიკუშამ კი ამასობაში ნიგვზის ნასახიც არ დატოვა, მარტო ღრი დიდი ნაჭუჭიღა ეგდო მდინარის პირას...

თარგმნა უ. სახლთხუციშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა სალუქვაძე

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

1913. 1914

თურმე იმდენი იხეტიალა,
რომ თუთიყუში ლამის გაძაღლდა;
მთელი ინგლისი შემოიარა,
დედაქალაქში ვიდრე დასახლდა.
დაახლოებით ერთი თვის თავზე
ჟაკო საკმაოდ კარგად გაერკვა,
ქალაქ ლონდონის რომელი ქუჩა
რაგვარი იყო, ანდა რა ერქვა.
დაუღალავი პატარა ჩიტი,
გვიან ღამემდე ადრე დილიდან,
ლიზისტერსა და ტრაფალგარ სქვეარს,
რამდენიმეჯერ შემოივლიდა.
სიტის იცნობდა ფეხის გულივით,
ან საკუთარი ოთხი ბრჭყალივით,
სად რა იყო და სად რა ხდებოდა,
ჩიტმა იცოდა ტემზის წყალივით.
ერთ დროს ტექნიკის უახლეს სიტყვას,
სიტიში უკვე ეძახდნენ რეტროს[1] —
მთელს მსოფლიოში პირველს, უძველესს
და სახელგანთქმულ ლონდონის მეტროს.
ერთხელ, მთელი დღის ფრენით დაღლილი,
ტემზის ნაპირას, ვათერლოოზ ბრიჯთან[2],
ჩაფიქრებული და მოწყენილი
პატარა ჟაკი მდუმარედ იჯდა.
და უცაბედად, ჩიტის პირდაპირ
ვილაც უცნობი წამოიმართა.
ჟაკმა ის მხოლოდ მაშინ შენიშნა,
როცა უცნობმა სიტყვით მიმართა.
—უელქამ ინ ლანდონ გრეითისთ
თრაველარ[3],
შენ ჟაკი გქვია, ვგონებ, სახელად,
მე კარგად გიცნობ! — დამაჯერებლად
თქვა ინკოგნიტომ[4] და ჩაახველა.
— ითს იმფოსიბლ[5], — გაოცდა ჩიტი —
რა მანქანებით გამოიცანით?!
თქვენ ტელეპატი[6] ბრძანდებით ალბათ,
ან ჯადოქარი, ან გულთმისანი.
— ოჰ, ნოუ, მაი დარლინგ, ჩემო ჩიტუნავ, —
ვერ იმაგრებდა უცნობი სიცილს.
— მე ჯადოქარი სულაც არა ვარ,
თუმც შენს შესახებ ბევრი რამ ვიცი.
იგი ვერ მიხვდა, რომ ინკოგნიტო
იყო ყველასთვის კარგად ცნობილი
თვით შერლოკ ჰოლმსი, სახელგანთქმული,
დოქტორ უოთსონის[7] ახლო ძმობილი,
ადამიანი ერთობ ჭკვიანი,
გამჭრიახი და დიდად ნაკითხი,
რომელმაც ასტრო-გეო-სოფიის[8]
იცოდა თითქმის ყველა საკითხი,
იყო ძალიან დაკვირვებული,
არც ნიჭი აკლდა, ჭკუაც უჭრიდა
და ამიტომაც უცნობთა ცნობა,
რაღა თქმა უნდა, მას არ უჭირდა.
იმ ხანად ქვეყნად ძალიან დაცხა.
და ჰა, ყინულიც დაიძრა, გალღვა,
მოაწყდა ძველი სამყაროს ნაპირს
მღელვარებათა ახალი ტალღა.
გაფიცვები და აჯანყებები
უფრო და უფრო ხშირი ხდებოდა;
ახლოვდებოდა რევოლუცია,
რასაც უთუოდ ყველა ხვდებოდა...
ბურჟუებისთვის გამოსავალი,
მსოფლიო ომის დაწყება გახლდათ,
რომლის მიზეზიც სარაევოში
მომხდარი მძიმე მკვლელობა გახდა.
ცხრაას თოთხმეტის ოცდარვა ივნისს
ნაციონალისტ[9] გავრილა პრინციპს
მოუკლავს თურმე ფრანც ფერდინანდი,
ავსტრიის ტახტის მემკვიდრე, პრინცი.
მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ

ჟაკო გაფრინდა სარაევოდან,
თუმც არ იცოდა, სად მიფრინავდა,
რა მოხდებოდა და რა ელოდა.

---

1. რეტრო — მოძველებული, სიძველის ელფერდაკრული.

2. ვათერლოოზ ბრიჯ — ვატერლოოს ხიდი.

3. უელქამ ინ ლანდონ გრეითისთ თრაველარ (ინგ.) — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ლონდონში, დიდო მოგზაურო.

4. ინკოგნიტო — პირი, რომელიც მალავს თავის ვინაობას.

5. ითს იმფოსიბლ (ინგ.) — შეუძლებელია.

6. ტელეპატი. — ადამიანი, რომელიც იგებს სხვის აზრებს შორ მანძილზე.

7. შერლოკ ჰოლმსი და დოქტორ უოთსონი — ინგლისელი მწერლის არტურ კონან-დოილის (1859-1930) ნაწარმოებების გმირები.

8. ასტრო-გეო-სოფია — სამი ბერძნული სიტყვის შერწყმა: ასტრო — ვარსკვლავი, გეო — მიწა და სოფია — სიბრძნე.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

კარლო კობერიძე

ნეკერი

ნეკერი აკვირტებული ხის ნორჩ ტოტებს ჰქვია — აი, კვირტი გამოსასვლელად რომ იბერება და ჯერ ყლორტი რომ გამოაქვს, მერე ნაყოფი და ფოთოლი, — იმას.

როცა კვირტიდან ნაყოფი, ყლორტი, ფოთოლი გამოდის, ხეს სამერმისო კვირტიც მაშინვე უჩანს, მაგრამ პატარაა და ვერ ვამჩნევთ — ან ვერ ვამჩნევთ, ან არ ვაკვირდებით. კვირტი გამოსვლისას რომ იზრდება, იბერება, ამას გაღვიძება ჰქვია — **კვირტი იღვიძებსო**. რომელი კვირტიც არ იღვიძებს, არ გამოდის, იმაზე ვიტყვით, **კვირტი დაბრმავდაო**. მაგრამ არსებობს კვირტის ხელოვნური დაბრმავებაც: კარგი მევენახე, მებაღე, რომ შეატყობს, ვაზი, ხეხილი სუსტია და ბევრ ნაყოფს ვერ მოერევა — ვერ გაზრდის, ვერ დაამსხვილებსო, განგებ შეათლის ხოლმე კვირტებს დანით — ამასაც კვირტის დაბრმავებას ვეძახით.

ნეკერი ყველაზე ადრე მზის გულზე — **პირმზითზე** შეიმჩნევა. ასეთი პირმზითი მზისკენ მიქცეული ფერდობია. აკი თვითონ სიტყვაც ამას ამბობს.

ნეკერი თხის საყვარელი საჭმელია. ცხვარსაც უყვარს, ძროხასაც, ცხენსაც, მაგრამ ფერდობებზე, **კორტოხებზე** თხას უფრო ემარჯვება სიარული, ხტომითაც სხვაზე მარჯვედ ხტება. გაგიგონიათ ნათქვამი — თხამ ნეკერი ნახა და სახტომი არაო? ეტყობა ან დაგორებულა თხა ფერდობიდან, ანდა ხრამში ჩავარდნილა. რას იზამ, ზოგჯერ კარგ მხტომელსაც მოსდის მარცხი!

> თხამა თქვა ბაკი-ბუკამა:
> არ შემეცვალოს მხარიო —
> კორტოხზე ვხედავ ნეკერსა,
> მიანანავებს ქარიო;
> ვეხვეწები და არ მომდევს —
> გადამერია ცხვარიო.
> — შენ ჩემს ბაღჩაში არ შეძვრე!
> არ გამომტყუო სარიო!

ყველა მცენარის ნორჩ ტოტს არ ჰქვია ყლორტი, არც ყველა მცენარეზე ვიტყვით ხოლმე, კვირტიდან გამოვიდაო: ახლადმოსულ ხორბალზე, ქერზე, სიმინდზე, ლობიოზე, ბარდზე ვამბობთ **გაღივდა**, ღივი ამოიტანაო; ხვართქლზე, უსურვაზზე, ღვედკეთზე და სხვა ხვიარა მცენარეებზე — **აღოლდაო**. სატაცურის, მაყვლის, ასკილის და სხვა ამგვარი მცენარეების ნორჩ ამონაყარს **ყოტი, დუყი, საწინაო** ჰქვია; გადაკაფულ, გადაბელილ ხეებზე ამოსულ ნორჩ ტოტებს — **ამონაყარი, ღოლი**. კარგად მოვლილი, ღონიერი სიმინდი ამონაყარს რომ გამოიტანს, იმას **ბარტყი** ჰქვია, ვაზისას კი— **ნამხარი**.

ყველა ახალამოსულ, ახალამონაყარ ტოტს კრებითი სახელი აქვს — **მორჩი**. ეს სიტყვა სხვებზე უფრო ძველია. ალბათ მოგისმენიათ ცნობილი ქართული ხალხური სიმღერა — საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, სადაც სიტყვა „მორჩია“ ნახმარი. ამ სიმღერის ტექსტის ავტორია საქართველოს დიდი მეფის — დავით აღმაშენებლის ძე, დემეტრე I, რომელიც 1125-56 წლებში მეფობდა. მოდი, გავიხსენოთ ეს ლექსი:

> შენ ხარ ვენახი
> ახლად აყვავებული,
> მორჩი კეთილი,
> ედემს შინა რგული,
> და თავით თვისით
> მზე ხარ გაბრწყინვებული.



მხატვარი გიორგი როინიშვილი



ფიქრია ქაჩლიშვილი

რამდენი შეხვდათ

თამაზი, გია და ნუგზარი კაკლის ძირში თამაშობდნენ. გიამ და თამაზმა ჩამოცვენილი კაკლები დაინახეს და აკრიფეს, ნუგზარს კი არაფერი შეხვდა.

— თამაზ, ერთი კაკალი მომეცი და ორივეს ტოლად გვექნება, — უთხრა გიამ თამაზს.

—შენ მომეცი ერთი, და მე ორჯერ მეტი მექნება შენზე. — მიუგო თამაზმა.

— ხარბი ხარ. — ჩაილაპარაკა გიამ.

— არა ვარ ხარბი, ორჯერ მეტი რომ მექნება, ნახევარს ნუგზარს მივცემ და სამივეს ტოლად შეგვხვდება.

დარცხვენილმა გიამ უსიტყვოდ გაუწოდა მას ერთი კაკალი...

რამდენი კაკალი შეხვდა თითოეულს?

გიორგი წერეთელი

ეროვანაკა

მაჯამა სალექსო ფორმაა, რომელშიც სტროფები (ოთხსტრიქონედები) გაწყობილია ომონიმური რითმებით, ესე იგი უველა სტრიქონი მთავრდება ერთი და იგივე ბგერითი შემადგენლობის მქონე, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებით. კრეტლმაჯამა რაღა იქნება? სტროფი, რომლის მხოლოდ სამი სტრიქონი მთავრდება მაჯამური რითმით, მეოთხე კი ამოვარდნილია.

ყვარებია ძეწნას წყალი
და ვერ მივხვდი მე სა
ასე როგორ გახმებოდა,
რომ ყოველდღე მესხა

ნილა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1928 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლაშარა გაბუა, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, ჯელა ლოსაბერიძე, მაუვალა მრევლიშვილი, ჯურბა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჭიჭინაძე, მარინე ხარატიშვილი.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 19. 06. 86 წ., ბელმოწერილია დასაბეჭდად 1. 09. 86 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა 1512

ყდაზე ნახატი ბესო ხიდაშელისა.

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства. 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 1512.

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასეფ-ფემბრო იუმორი

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

— მე ჯერ ამხანაგებთან გავიელი, თქვენ კი ჩანთა სკოლაში მომიტანეთ.

— შეხედეთ, შვილებო, ამას ძალხაზი ჰქვია, ჩვენ კი ღორებს გვეძახიან.

6177/163

— შეხედეთ, მეგობრებო, წელსაც გაუძლო ამ ციხემ ურიცხვი ურდოების შემოსევას.

— ზაფხულში თუ კითხულობდი?
— საკითხავად სად მეცალა, ვისვენებდი.



— გაიღვიძე, არდადეგები დამთავრდა!